აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

10 თებერვალი 2005 წ ქ ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, გიზო მჭედლიძე, ქეთევან ჯიქია, ლევან ჩავლეიშვილი, ზაზა ტუღუში, მამუკა ჯაში, თეიმურაზ ძნელაძე, გუგული დუაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი გელა კუჭაშვილი, იურიდიული სამსახურის უფროსი გელა კახიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, საორგანიზაციო სამსახურის უფროსი მუხრან კაკაბაძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრების არჩევა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ;
(მომხს. ი. ფაღავა)

2. სხვადასხვა

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრის, რომან კვესეიშვილის კანდიდატურა. მას აქვს გამოცდილება

საარჩევნო საქმიანობაში, აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა: გ. მჭედლიძემ, თ. შარმანაშვილმა

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრად რომან კვესეიშვილის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დაადგინეს: ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრად არჩეულ იქნას რომან კვესეიშვილი

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრის, თამაზ ჭეიშვილის კანდიდატურა. ის პროფესიით ინჟინერია, აქვს საარჩევნო საქმიანობის გამოცდილება, დანიშნული იყო უბნის კომისიის წევრად რამოდენიმე არჩევნებში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრად თამაზ ჭეიშვილის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დაადგინეს: ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამონაცვლე წევრად არჩეულ იქნეს თამაზ ჭეიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია